საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი 1919 წ. № 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

გაზეთი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში დანიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

მეუღლე ლიუცია ალექსანდრეს ასული ნემსაძისა, შვილები ალექსანდრე, ნატალია, მარიამ და ეკატერინე, სიძე ივერიკო ლორთქიფანიძე, შვილიშვილი ქეთო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 5 ოქტომბერს, დღით კვირას საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პოდპოლკოვნიკ.

ოტია(სამსონ)ალმასხანისძე ნემსაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 12 საათზე. (2—1.)

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში

...ლა დაიწყება 1 ოქტომბერს. წარსული სამოსწავლო წლის მოწაფე, რომელთაც სურთ განაგრძონ სწავლა, უნდა გამოცხადდენ სასწავ...ბელში დანიშნულ ვადისთვის. ვინც 1 რიცხვიდან ერთი კვირის გან...ობაში არ გამოცხადდება, ის აღარ ჩაითვლება სასწავლებლის მოწაფეთა რიცხვში. 3—3.

...ათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ქ. სამუსიკო სასწავლებელში გაიმართება

კონცერტი

...ულებული იქნება ფორტეპიანოზე კლასიკთა და თანამედროვე ავ...ორთა თხზულებანი. მონაწილენი: დამსახურებული მუსიკოსი ლ. კნინა, ...ლარ. ქუთათელაძე და ნინო ანსიმოვა. 3—2

ქუთაისის 1-ლი საერთო განათლების უფლებიანი კურსები

...ავიდა ყოფილ კომერციულ სასწავლებელში (თბილისის ქ. ეზიკოვის ...) სისტემატიური მეცადინეობა მე 4, 5, 6, 8 კლასებში განახლდა ...ტომბერს. მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღებიან მოზრდილები ...40 წლამდე. განურჩევლად პროფესიისა და სქესისა, ყველა. ...ს საჭიროებს პირველ დაწყებით სწავლას (წერა-კითხვა და ანგარიში) ...ეის სწავლა უფასოა. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 5—8 საათამდი. ...1

კურსების გამგე დ. მხეიძე.

ქუთაისის სამაზრო ერობა

...ადებს, რომ ქ. ქუთაისში ბალახვანის ქუჩის შესახვევში ბ. გაბელაშვი...ტყავის დასამზადებელ ქარხანაში 28 ეკენისთვეს დანიშნული საჯა...ვაჭრობა ასი ფუთი სასტელკე ტყავის გასაყიდათ ტყავის მოვაჭრეთა ...ბის დაუსწრებლობის გამო გადაიდო 5 მომავალ ოქტომბრისათვის 1919 ...ლის 12 საათისთვის. დაწვრილებით პირობებს გაგება მსურველთ ...ეძლიათ გაიგონ ქუთ საპაზრო ერობის საოჯახო განყოფილებაში.

ეკარგა

თავისუფლების ბილეთი სამტრედიაში ...ული 1918 წ. ივნისის თვეში, ...ებ სამხედრო ბეგარისა. ბილეთს ...ულათ ვთვლი. ილია იულოს ...ძე ორმოცაძე. 1—1

სანუგეშო ამბავი.

ინგლისის თემთა პალატის საგარეო კომისიას პრინციპიალურად აღუარებია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

და ამ აღსარებას ორი მიზეზი დადებია საფუძვლად. ერთი ის, რომ რუსეთში აწინდელი ანარქიის დასასრული არა ჩანს და მეორე, ის, რომ სპარსეთზე პროტექტორატის განხორციელებისათვის ინგლისს გზად და ხიდად პატარა დამოუკიდებელი რესპუბლიკები ურჩევნია, რომლებთანაც უფრო ადვილია ხელსაყრელი პირობების საფუძველზე მორიგება, ვიდრე დიდი და ძლიერი რუსეთი, რომელიც შეიძლება, გაუვალ ზღუდედ გადაეღობოს.

ბედისწერამ არ გაიმეტა სასიკეთოდ საქართველო:

ყველაფერი ისე ეწყობა, რაც ჩვენი დამოუკიდებლობის საქმეს შვილის და ხელს უწყობს.

და ჩვენი მთავრობა მოვალეა კარზე მომდგარ ბედს კარი გაუღოს.

ჩვენ კი არა ერთჯერ გვითქვამს და კვლავ განვიმეორებთ ჩვენი მტრებისა და მეგობრების და ყურადღებად!

ეროვნული დემოკრატია — დამოუკიდებლობის პარტია არის. უმთავრესი მისი მიზანი — საქართველოს დამოუკიდებლობაა.

შორს ჩვენგან ყოველი, ვინც ამ დიდ მიზანს არ ემსახურება!

რა დასაფიცავია: არიან ქართველთა შორის გარეწრები, რენეგატები, რომელნიც დამოუკიდებლობას უარყოფენ.

ერთი მხრით ბოლშევიკები ცდილობენ საქართველო ავანტიურაში ჩაითრიონ და რუსეთის ბოლშევიკები შემოიყვანონ.

ეს უბედურობა რომ თავს დაგვატყდეს, აი რა იქნება:

ბოლშევიკები ინტელიგენციასა და ვაჭარმრეწველებს გასწყვეტენ და ინგლის-ამერიკა — საფრანგეთს გადაგვიკიდებენ. საქართველო დენიკინელთა და ბოლშევიკების შორისი ბრძოლის სარბიელად გადაიქცევა და ბლოკადის სხვერპლი შეიქნება. და ქართველი ხალხი სისხლისაგან და იცლება და შიმშილისაგან ამოწყდება.

დენიკინელებს დენიკინის შემოსვლა ეხარიათ. დენიკინის შემოსვლა კი ნიშნავს ქართველი ერის აღგვას პირისაგან ქვეყანისა. მისი დამსჯელი რაზმები საქართველოს ცეცხლითა და მახვილით გაანადგურებენ და მისი მთავრობა საქართველოს ტერიტორიაზე რუსებს დაასახლებს და ქართველებს აყრის!

მეორე მხრით არაფერი ისე არ შველის ერის ყოველმხრივ წარმატებას, როგორც დამოუკიდებლობა.

მართალია, ეროვნულ დემოკრატია არ იზიარებს საქართველოს აწინდელი მართვაგამგეობის სისტემას.

მაგრამ საკუთარი, ეროვნული მთავრობა, რაც თუ გინდ უსრული იყოს, მაინც შესაძლებელ ჰყოფს ეროვნულ განვითარებას. სხვისი მთავრობა კი, კარგიც რომ იყოს, ჩაგრული ერის სიკვდილს შეუწყობს ხელს!

დიაღ! ვინც ისტორია იცის, ეს უცილობული ჭეშმარიტებაც იცის.

იმავე დროს მთავრობა და მართვა-გამგეობის სისტემა წარმავალია, მოკვდავია.

ერი თუ დამოუკიდებელი იქნება, ბევრ მთავრობას გამოიცვლის.

„იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსაო“,

შოთა რუსთველის ამ ნათქვამს საყოველთაო მნიშვნელობა აქვს.

კაცთა საზოგადოება სოციალურ ცდებს აწარმოებს და ბოლოსდაბოლოს მიზანშესაბამ სოციალურ სისტემას იჩენს.

ამიტომ, ნურავის შეეშინდება, თუ აწინდელი სისტემა უვარგისია. საშიშარი არა არის — რა, როდესაც უვარგისის უკეთად შეცვლა შესაძლებელი და მოსალოდნელია.

რუსეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მიხაილოვსკი სწერს: ქვეყანა ჩვენით არ იწყება და ჩვენითვე არ თავდებამ.

ერთი დაკვრით სოციალური შენობის აშენება არ შეიძლება.

და, თუ აწინდელმა თაობამ სოციალური შენობის აშენება ვერ შეძლო, მომავალი თაობა ხომ უკეთესს ააშენებს.

ოღონდ კი ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთნოდეს და არამკითხე ბატონები ხელს ნუ შეგვიშლიან!

ვასილ წერეთელი.

დღიური.

ბათომში ბრძანება გამოსცეს რომ ყუბანის ფული მიღებულ იქნას ამიერ-კავკასიის ბონების თანაბრად.

ინგლისში გაფიცულ რკინის გზელთა რიცხვი 500,000 კაცს უდრის. მთავრობა ფიქრობს გაფიცულები ყოფილ ჯარის-კაცებით ტ მეზღვაურებით შესცვალოს.

ამერიკამ მოკავშირეთა მთავრობებს განუცხადა, რომ ის მათ არც ერთ კაპიკს არ მისცემს, სანამ მოკავშირენი, შეერთებულ შტატების მიმართ არ დაიწყებენ პატიოსან პოლიტიკას,

უნგრეთში ფრიდრიხის სამინისტროს რეორგანიზაცია ხდება.

კლემანსომ პალატაში საზავო პირობების შესახებ ორი საათი ილაპარაკა.

ახალი ქალაქები.

რევოლუციის პირველ დღეებში ბევრი ნაჩქარევი ნაბიჯები გადავსდგით. სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ ჩვენში უცებ ბევრი ქალაქები გაჩნდა. ყოველმა დაბამ ქალაქათ გადაქცევა მოინდომა. ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც გუბერნიის სამმართველო ორგანოს წარმოადგენდა პირველ ხანებში, ზედიზედ დეპეშებით შუამდგომლობას გზავნიდენ სხვადასხვა დაბიდან, რომ გინდათ თუ არა, საჩქაროთ ქალაქათ გვიცანითო. ქალაქათ ცნობის საზომი შეიცვალა, უარის თქმა აღარ ხერხდებოდა, სადაც პატარა დაბა იყო სოფლები შემოიმატეს, სადაც ცოტა მცხოვრები იყო დაბის სამრეწველო მნიშვნელობა ასწიეს და ერთი სიტყვით ყველა იმას ამტკიცებდა, რომ ქალაქათ დამტკიცების ღირსი ვარ და საჩქაროთ ქალაქის თვითმართველობა უნდა შემოვიღოთო. ასე ნაჩქარებათ გაჩდა ახალი ქალაქები: სენაკი, ზუგდიდი, სამტრედია, ხონი, ზესტაფონი, ჭიათურა და სხვა... **გაჩენა ადვილი შეიქნა, მაგრამ არსებობა ძნელი.** რევოლიუციის ალი ჩანელდა, ხალხმა წინ დაიხედა, ქალაქის წესწყობილების გემოც იხილა და ბევრგან დარწმუნდენ, რომ ძლიერ შეცდენ. შეიქნა უკმაყოფილება და გაისმა სინანულის ხმა. სამტრედიაში ასტყდა დიდი აურზაური და გარს შემოტყმული სოფლები ძალზე ამხედრდენ. ხონში დიდი განგაში ატყდა. ხალხი სამართლიან საყვედურს აცხადებს; ქალაქის თვითმართველობას ენდურის და სამართლიან მწუხარებასაც განიცდის. მართალია ვისაც ეს არ მოსწონს და ვისთვისაც ეს ხელსაყრელი არ არის, ის ასეთ მოძრაობას და ხალხის ამხედრებას სხვა სახელით ნათლავს და მთავრობის წინაშე ცდილობს ხალხი ძალით დაიმორჩილოს, მაგრამ ეს ყოველივე გამოირკვევა და ბოლოს ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ხალხი დაკვირვებით და გამოცდილებით რწმუნდება რომ ქალაქათ გამოცხადება დაბას სარგებლობას არ აძლევს; ეს მას ზედმეტ ხარჯებს ატეხს და მეურნეობას და მრეწველობას მისას სრულიად წინ არა სწევს. ხალხი ნათლათ დარწმუნდება, რომ ერობის ერთეულათ ყოფნა ათასჯერ უფრო სასარგებლოა. ხალხის თვით-გამორკვევა შეცდომას გაასწორებს და სიჩქარით გაჩენილი ქალაქები ერობის ერთეულებათ გადაიქცევა.

ტრიფონ ჯაფარიძე.

სომხეთი და მუსულმანები.

როდესაც ჩვენი მთავრობა რომელიმე ავანტიურისტ სომეხს დააპატიმრებს „შეთქმულებისა, მოღალატეობის“ ა თუ სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ გამოსვლის გამო, —სომხური პრესა და მთელი ჰაიასტანი ხსას აიმაღლებს, ვითომც ჩვენი მთავდობა სომხობას „ავიწროებდეს“ და სომხის ერის წინააღმდეგ აგრესიულ ზომებს ხმაროობდეს.

არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, სადაც მოღალატეები კანონის ძალით არ ისჯებოდეს.

ამ მხრით, პირ იქით, ჩვენი მთავრობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. უცხოელნი, რომელიც მხოლოდ სამტროდ და მალული ორგანიზაციების მოსაწყობლად სცხოვრობენ ჩვენში, რომ ჩვენს რესპუბლიკას ძირი გამოუთხარონ,—სრულიად თავისუფლად გრძნობენ თავს.

და არ ყოფილა შემთხვევა რომ საქართველოში მცირე ეროვნებანი შეეიწროებული ყოფილიყოს. პირ იქით, ისინი ისე გრძნობენ თავს როგორც საკუთარ სამშობლოში.

მაგრამ ასე არ ხდება სომხეთში.

ჰაიასტანში არა სომხები დიდ გაჭირვებას და ათასგვარ შეეიწროებას განიცდიან.

ეს უმთავრესად ითქმის მუსულმან მოსახლეობაზე.

სომხები და მუსულმანები ისტორიული მტრები არიან ერთი მეორისა და როდესაც სომხეთში დამყარდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება,— დრო იშოვეს და უდანაშაულო მუსულმანობას დევნა დაუწყეს.

ამ დევნას და შეეიწროებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე, მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობდა, როგორმე ჩაექრო შუღლი და მტრობა ამ ორ ერთაშორის.

საერთო მთავრობის-კომისარიატის გაუქმების შემდეგ მდგომარეობა კი დევ უფრო გამწვავდა.

სომხები ენერგიულად შეუდგნენ მუსულმანების აწიოკებას და მათი ქონების მითვისებას.

ჰაიასტანის მთავრობა კი არავითარ ზომებს არ ხმაროობს და ბრბოების გამოსვლებში ხშირად რეგულიარული ჯარიც ღებულობს მონაწილეობას.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით სომხეთში მოსულმანების დევნამ არაჩვეულებრივი სახე მიიღო.

ამ გარემოებას მხოლოდ აზერბაიჯანის მთავრობამ მიაქცია ყურადღება და მოითხოვა რომ სომხეთში მუსულმანების უფლებები დაცული იქნეს.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა ევროპის ყველა სახელმწიფოებს რადიო გაუგზავნა და მოითხოვს, რომ სომხების მოქმედება შეჩერებული იქნეს.

არ ვიცით ამაზე რა პასუხს გასცემს თვით ჰაიასტანის მთავრობა, რით იმართლებს თავს ევროპის სახელმწიფოების წინაშე, „მაგრამ სახელმწიფოს მესვეურებმა უნდა იცოდენ, რომ იგი მესაჭე არის მთელი ერისა და მის ქვეშევრდომებს არ უნდა აძლევდეს ნებას ცარცვა-ტაცებისას და თავის სახელმწიფოში მშვიდობიანი მოსახლეობის დევნისას.

სომხებს მხოლოდ პრეტენზიების წამოყენება ემარჯვებათ და იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, რა ხდება თვით სომხეთში.

ნიკ. ასათიანი.

იტალიური პრესა

(საქ. დეპ. სააგენტო)

4 დღეა, რაც სონინო ავად გახდა და ძეფის საბჭოს სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია.

ჰელსინგკორსიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარმა პეტროზავოდსკზე შეტევა დაიწყო.

სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობებით, ბოლშევიკი ესტონელები განაგრძობენ ფსკოვისკენ შეტევას, მაგრამ უკუ აქციეს და უკან იხევენ.

გაზეთების ცნობით დანუნციომ მეფეს მოხსენება წარუდგინა ფიუმეს მდგომარეობის შესახებ.

პარიზიდან მიღებულ ცნობებით, უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ყოფილ ავსტრიაუნგერეთის სახელმწიფოთა შორის დადებულ შეთანხმების პროექტი მათი ურთიერთობის შესახებ.

ბუენოს აირესიდან იუწყებიან, რომ პალატის ფინანსიურმა კომისიამ მხარი დაუჭირა პროექტს არგენტინაში ხორბლეულის შესაძენად მოკავშირეთათვის 200 მილიონი პიასტროს სესხის შესახებ.

ეგვიპტეში გაიგზავნა მთავრობის კომისია ინგლისელების საწინააღმდეგოთ მოძმდარ დემონსტრაციის მიზეზების გამოსარკვევად.

გერმანული პრესა.

(საქ. დეპეშათა სააგენტო)

ვარშავიდან იუწყებიან რომ მდ. დვინაზე კრაკლოვსკთან 10 დღის მედგარი ბრძოლა პოლონელების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ბოლშევიკურ ძალების უმეტეს ნაწილებს ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს. როგორც ამბობენ მდ. დვინის მთელი სამხრეთის ნაპირი ქ. დვინსკიდან მდ. დესნამდე პოლონელების ხელშია.

მოსალოდნელია რკინის წარმოების მუშათა გაფიცვა ძალიან გაიზარდოს. ეგრედ წოდებული 15 თა კომიტეტმა გადაწყვიტა ყველა კა ჩეგარები მოხსნას მოშაობიდან, რის გამოც მრავალ ქარხანაში მუშაობა შესწყდა. ძალით გაფიცულნი ყოფილნი არიან მუშათა ... ბით; ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ცძის სახლის დარღვევა და ...ქალაქის ადგილიდან გადატანა 2) განხილვა სხვა და სხვა პირ... ...ვნების ერთდროული დახმა... ...ლმოჩენაზე.

...გვამის ნახვ. ფოთის ნავსად... ...ფარგლებში ნახეს დამღრჩვა... ...ჰიანის გვამი.

...ქურდობა. ქ. ფოთში მემან... ...ოთის ნავთსადგურის. წყლის ...სა გიორგი სტურუას თავის... ...დან მოპარეს: ორი წყვილი ...ემი, ერთი ზეწარი, ერთი ... ჩექმა და ფულად 800 მან.

...ბინის საკითხი. სასწავლო ...დაწყების და მოწაფეების ჩა... ...ის გამო ბინა ქუთაისში ძალ... ...ვირდა. ოთახები სულ არ ...ვა.

შეწირულება. ქუთაისის სა... ...ზო სამართველოს მოხელეებმა ...კაკიანის ხსოვნის აღსანიშნა... ...ჯერავთხვის საზოგადოებას შე... 500 მ.

დამფუძნებელ კრების სხდო... ...შაბათს, სექტემბერის 30, შე... დამფუძნებელ კრების სხდომა ...ომთათიძის თავმჯდომარეო... ...კრებამ მიიღო საბოლოო ტე... ...დეკრეტებისა ყოფილ კადეტ... ...ტრაპუსის შენობის გადასაკეთე... 700,000 მან. გადადების შე... თოფურიძის მოხსენებით ...ბულია და მუხლობრივ განსა... ...ლოდ გადაეცა შემდეგი სხდო... ...ვის საქ. სახელმწიფო ბანკის ...ბის შესახებ. იურიდიულ კო... ...ის სახელით სერ. ჯაფარიძემ ...ნება გააკეთა 1915–16. წ. ...ის გაუქმების შესახებ, რომლი... გერმანიის, ავსტრიის, უნგ... ...ის, ოსმალეთისა და ბულგარე... ქვეშევრდომთ ეკრძალებოდათ ...ოში ვაჭრობა-მრეწველობის წა... ...ება და უძრავ ქონების შეძენა. ... კამათის შემდეგ კანონ პრო... მიიღეს. მ. რუსიას მოხსენებით ...ბულია დეკრეტი სახელმწიფო ...მსახურეთა ჯამაგირების გადი... და საჩუქრების მიღების დროს ...ის სასარგებლოდ ერთდროუ... გადასახადის გაუქმების შესახებ.

ლალის აკრეფა. სამაზრო ...ბის გამგეობამ მიანდო წერილი ...ბო ერთეულებს სადგილ-მამუ... ...ვახყოფილებიდან წარდგენილი ...ის მიხედვით აკრიფონ სათანდო ...ზე ლალა-მოსავლის მეათედი.

მიწების გაყიდვა. თანახმად ...19 წ. 28 იანვრის კანონისა ქუ... ...ს სამაზრო ერობა შეუდგა მი... ...ის გაყიდვას. მიწების ჩამორთმევა ...ულდა 5 რაიონში, სადაც უკვე ...ო მიწების გაყიდვა. ჯერ-ჯე... ...ით ხაზინაში შესულა 40,000 ...თამდე.

...მდენიმე ასიათასი აქტი უკვე მზად არის, მიწები ასე ნაწილდება რაიონებზე: კოპიტნარის რაიონს მიეცემა 4712 ქცევა.

ამ რაიომა უნდა შეიტანოს საფონდო მიწების საფასურად 3,68 000 მანეთი.

ჯიხაიშის რაიონს მიეცა 1456 ქცევა გაეწერა 1,000,000. წყალტუბოს რაიონს მიეცა 2948 ქცევა გაეწერა 1,389600.

ქუთაისის რაიონს მიეცა 2234 ქცევა. გაეწერა 1790400 მანეთი. ბაღდადის რაიონში მუშაობა დასრულდა, მაგრამ ფონდი გამორკვეული არ არის.

✦ **საზიზღარი მკვლელობა** სოფელ მოწამეთში 25 სექ. ღამით ავაზაკებს მოუკლავს არსენ გრიგოლის ძე ქარხალაშვილი და სასიკვდილოთ დაუჭრიათ დედა მისი მართა, რომელიც მოათავსეს ხრესილის საავადმყოფოში. კომისარს აღმოუჩენია ავაზაკები სოფელ გელათში მცხოვრები ერმალო ლევანესძე და ილარიონ სიმონისძე მაწკეპლაძეები და გვარდიელი ზოსიმე ნესტორისძე ხუჯაძე, რომელთაც აღმოჩენიათ სისხლით გასვრილი ბლუზა და შარვალი და მოწამეთის მთაზე ტყეში დამალული თოფი. გამოძიებით გამორკვეულა აგრეთვე რომ ავაზაკები შეყიდული ყოლია მოკლულის მემკვიდრეებს ანთიმოზ სიკოსძე და ივანე იოსების ძე ქარხალაშვილებისაგან 5,000 მანეთად.

✦ **ყალბი სამგზავრო ბილეთების აღმოჩენა.** ღამით 25 და 26 სექტემბერს ხაშურის რკ. გზ. რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწეჰ ბესარიონ მუმლაძემ, კახეთის რკ. გზ. რაიონის მილიციის უფროსის საქმის მწარმოებელმა არონ მ. იმნაიშვილმა, თფ. რკ. გზ. რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწემ ლ. ვაშაკიძემ და ამავე რაიონის უფ. მილიციელმა ბურძგლაძემ აღმოაჩინეს ორგანიზაცია ყალბი სამგზავრო ბილეთების, პლაცკარტების და შტემპელების, რის გამო დაატუსაღეს მთავარი ძარღვი მამოძრავებელი ამ ორგანიზაციის სტუდ. ლადო გეწაძე, ალექსანდრე ქებაძე, ტრიფონ ხხეიძე და ერმო ოსაძე. დაპატიმრებულთ ყალბი ბილეთები აღმოაჩნდათ ჯიბეზე. სტუდ. ლადო გეწაძე წინადაც იყო გასამართლებული ყალბი სამგზავრო ბილეთების გავრცელებაში. ბ. მუმლაძე და არ. იმნაიშვილი განსაკუთრებით აქცევდენ ამ საქმეს ყურადღებას და დაედევნენ მას. მეორე დღეს ოცდა ექვს სექტემბერს იქმნა დაპატიმრებული სამხედრო სასწავლებლის ასოთამწყობი ოქროპირიძე, რომელიც ყალბ სამგზავრო ბილეთებს სამხედრო სასწავლებლის სტამბაში ბეჭდავდა. ღამით 29 სექტემბერს იქმნა დაპატიმრებული პაატოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ბევრი სხვადასხვა გვარი ყალბი სამგზავრო ბილეთები.

პროფესორ შარლ ჟიდის წერილი.

ამ დღეებში პარიზის უნივერსიტეტის სოციალური ეკონომიის პროფესორისა და გამოჩენილი კოოპერატორის შარლ ჟიდისგან იასონ გაბილაიამ მიიღო მის მიერ ქართულ ენაზე გადმოთარგმნილისა და უკვე გამოცემულის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ წასამძღვარებლათ შემდეგი წინასიტყვაობა:

ვერ დავფარავ, ქართულ ენაზე ჩემი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ მთარგმნელი კოოპერატორის მომართვამ დიდათ მასიამოვნა: სული აღმიფრთოვანდა და კვირძენ, რომ წერილი იგი მოსული იყო იმ ქვეყნიდან, რომელიც დასავლეთ ევროპის მცხოვრებთათვის ახლაც წარმოადგენს კაცობრიობისათვის წამებული ამირანის განთქმულს მითოლოგიურ მხარეს. მადლი მას, რომ იქ ანთებულმა კოცონმა გაამუქა მთელი ქვეყნიერობა და ყოველი ეპოქა. ამ მშვენიერ ქვეყანას ჩვენ მისგან მიღებულზე გაცილებით ნაკლებ სინათლეს ვაძლევთ. და აი ახლა, უკეთესის მოლოდინში, მას უბრუნდება პაწია ნაპერწკალი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ სახით.

დიდი ხანია დაიწერა და ზოგს ახლაც კი სჯერა, რომ ომით გამოწვეულის გიგანტიური კატაკლიზმის შემდეგ პოლიტიკური ეკონომია ომამდი არსებულს პოლიტიკურ ეკონომიას არ დაემზგავსებაო. ადამიანი ყოველთვის ფიქრობს რომ რაც ერთხელ მოხდა, იგი არ გამეორდებაო. მაგრამ ეს ილიუზია არის, თუ სხვა დარგში არა, პოლიტიკურ ეკონომიაში მაინც. შესაძლოა სახელმწიფოს საზღვრები შეიცვალონ, არსებულ სახელმწიფოთა მართვა გამგეობის ფორმებმაც ფერი იცვალონ, მაგრამ აგრე ადვილათ არ იცვლება ბუნება ადამიანისა და, მით უფრო, კანონები ეკონომიური მეცნიერებისა, ვინაიდან ეს კანონები გამომსახველი არიან ადამიანთა სურვილებისა, მათ შორის არსებულ საჭიროებათა და იმ საურთიერთო დამოკიდებულებებისა, რომელნიც თან სდევენ შრომასა და გაცვლა-გამოცვლას. და, მართლაც, არც ერთი კანონი ეკონომიისა, რომელსაც როგორც ეს წიგნი, ისე აგრეთვე პოლიტიკურ ეკონომიის სხვა ტრაქტატებიც შეიცავს, თანამედროვე ომისგან გამტყუნებული არ აღმოჩენილა. პირიქით, ყველა გამართლდა. მე შევამჩნიე, რომ ზოგიერთი ეკონომისტი უეჭველათ ცდებოდა, როგორც ომის ხანგრძლიობისა, ისე მისი ხარჯების გამოანგარიშებაში: ხანგრძლიობამ და ხარჯებმაც თვალსაჩინოთ გადააჭარბეს იმ ეკონომისტების ყოველსავე მოლოდინს, რომელთაც ეგონათ, რომ ომის ქარცეცხლში ერები დაიღუპებოდენ. მაგრამ ამათ: ერები, როგორც, ვხედავთ, სიცოცხლე-არსებობას ახლაც განაგრძობენ! ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ერში უამრავი ფარული ძალაა დაგროვებული ეკონომისტებისაგან შეუმჩნევლათ და ეს ძალა-ენერგია, რა თქმა უნდა, ომის შემდეგ უკეთ იქნება გამოყენებული.

ეკონომიური ცხოვრება უფრო ინტენსიურათ გაიზრდება ომის შემდეგ, როგორც ეს საზოგადოთ ყოველთვის ხდება ხოლმე ყოველი დიდი კრიზისის შემდეგ. მატერიალურ მდგომარეობას მალე გაიუმჯობესებენ ის ქვეყნები, რომელნიც სამრეწველო ცენტრებიდან უფრო დაშორებული არიან და დაჭილდოებული გამოულეველითა და ჯერ კიდევ თითქმის ხელშეუხები ბუნებრივი სიმდიდრით. ამ ბუნებრივ სიმდიდრეს ეს ქვეყნები ევროპის სახელმწიფოებს მიაწვდიან სწორეთ ასეთია ახლა თქვენი ქვეყნის მდგომარეობა და ევროპა მალე გამოეშურება თქვენთან ისე, როგორც ძველათ არგონავტები ოქროს ვერძისათვის მოდიოდენ ხოლმე.

შარლ ჟიდი.

P. S. როგორც ვიცით, პროფესორ შარლ ჟიდის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ ცალკე წიგნებათ უკვე გამოსულია, ზემომოყვანილმა წინასიტყვაობამ ვერ მოუსწრო, თუმცა მთარგმნელს ავტორისთვის წერილი 1917 წლის 22 სექტ. გაუგზავნია: კარგი კიდევ, რომ ის წერილი არ დაკარგულა და მიმოსვლის განახლების შემდეგ პასუხი მოვიდა. ამ დღეებში გამოვა აღნიშნული წიგნის მთელი კომპლექტები ავტორის წინასიტყვაობით და ცალკეც დაიბეჭდება ავტორის წინასიტყვაობა და სარჩევი იმ პირთათვის, ვისაც ეს სახელმძღვანელო ნაწილ-ნაწილათ აქვთ შეძენილი.

ავტორის წინასიტყვაობა მე-XIV ფრანგული გამოცემისათვის.

...მე-XIV გამოცემა დიდათ გაირჩევა წინანდელთაგან. თუმცა ბიბლიოგრაფიულ და სტატისტიკურ შენიშვნათა დიდი ნაწილი გამოტოვებულია, მაგრამ მაინც მასში მეტი გვერდია, ვინაიდან რთული განყოფილებები ვრცლათ განმარტებულია და ზოგან ახალი თავიცაა ჩართული, — მაგალითად, მოხმარების განყოფილებაში.

რაც შეეხება ამ წიგნის საერთო მიმართულებას, ამის შესახებ მე აქ მხოლოდ იმის გამეორება შემიძლია, რაც ყველა წინანდელი გამოცემის წინასიტყვაობაშია ნათქვამი. ამა თუ იმ მიმართულების დაცვა მიზნათ არ დამისახავს და სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტაც იმდენათ არ მაინტერესებდა, რამდენათაც ჩვენება იმისა, თუ როგორს ღრმა ინტერესებს წარმოადგენს ეს პრობლემები. პოლიტიკური ეკონომია თავიდანვე ასარებულ იქნა „მოსაწყენ ლიტერატურათ“, როგორც ტიერი ამბობდა, ან „მშრალ მეცნიერებათ“ (dismal science, კარლეილის სიტყვით). ეს მეცნიერება არა მარტო იმ კანონებს იკვლევს, რომელიც კერძო პირებსა და მთელ ხალხებს სიმდიდრეს ან სიღარიბეს ანიჭებს, არამედ იმ გზასაც უჩვენებს, თუ რა მწვავე ბრძოლით ან ძმურის ურთიერთშორის დახმარებით ადამიანთ კეთილმდგომარეობის დამყარება და სიღატაკისაგან გათავისუფლება შეუძლიათ. ამის მიხედვით მე განვიზრახე, რომ ეს მეცნიერება ყველას და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით, ახალთაობას იმ სახით წარსდგომოდა, რანაირიც იგი ნამდვილათ არის,—დრამისებრ წარმტაც მეცნიერებათ.

და მართლაც, ყველა ქვეყნის ახალგაზრდათა შორის, რომელნიც პოლიტიკურ ეკონომიას ამ წიგნით სწავლობენ—მე ეს ვიკი პირად ნაცნობთა გადმოცემით—რამდენიმე პირი მაინც მოიპოვება, რომელთაც ეს მეცნიერება ამ წიგნის საშვალებით სწორეთ ისე შეუგნიათ, როგორც მე ეს მსურდა, და ამის გამო ისე შეყვარებიათ იგი, რომ მარადის მისი ერთგული მიმდევარნი იქნებიან.

შარლ ჟიდი.

საქართველოს საგაჟოები.

საქართველოს რესპუბლიკაში საბაჟოები დაარსდა 1918 წლის მაისის თვიდან. სულ დღემდის არსებობდა 23 საბაჟო პუნქტი სხვადასხვა ადგილას.

საბაჟოების ცნობით ერთი წლის განმავლობაში ჩვენში შემოუტანიათ სხვადასხვა საქონელი სულ 3,858,584 ფუთი. ეს საქონელი შეფასებულია 304,816,214 მან. საბაჟოებს აქედან შემოსავალი ჰქონია 12,204,176 მანეთი და 15 კაპ.

საქართველოს ტერიტორიიდან ამავე ხნის განმავლობაში საზღვარ გარეთ გაიტანეს სხვადასხვა საქონელი სულ საერთო წონით 8,103,209 ფუთი, რაც უდრის 158,439,931 მანეთის ღირებულებას.

საბაჟოების შემოსავალი ყოველთვიურად იზრდება.

სახელმწიფო კანტროლი.

ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება სახელმწიფო კანტროლის განყოფილება. ამ განყოფილებას აქვს მინდობილი სახელმწიფო დაწესებულებათა ანგარიშის სრული რევიზია: წინასწარი, მერმეთი და ფაქტიური, ვერც ერთს ასიგნობას ქუთაისის ხაზინა ვერ გაანაღდებს, თუ მას არ ექნება კონტროლის გრიფი. აგრედვე მიღებული იქნება ზომები, რომ რაც შეიძლება ხშირად მოხდეს დაწესებულებათა ფაქტიური რევიზია, მეტადრე იქ, სადაც დიდი ფასის ქონება ინახება და იხარჯება, ფულად თუ მასალად. მოსალოდნელია რომ წინასწარი რევიზია პირველ ხანებში დაწესებულებათა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან პროვინციაში გადაეჩვიენ ანგარიშის წესიერად წარმოებას; რაიმე გაუგებრობის ასაცდენად საჭიროა ანგარიშვალდებული დაწეწებულებები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ჩადგნენ: ყოველი მოთხოვნილება უნდა ემყარებოდეს კანონიერ შტატზე, ხარჯთაღრიცხვაზე, სათანადო განკარგულებაზე და სხვა. ვისაც არა აქვს რესპუბლიკის კანონთა კრებულის პირველი წიგნი, სადაცაა დაბეჭდილი სახელმწიფო კანტროლის დებულება და რევიზიის წესდება, მათ ვურჩევთ ან ეს კრებული შეიძინონ, ან გამოიწერონ სახელმწიფო კანტროლიდან ცალკე ბროშურათ დაბეჭდილი კანონი ამ კანტროლის შესახებ.

განყობილებას სათავეში უდგია უფროსი რევიზორი ა. კ ამირეჯიბი, რომელიც ქუთაისში ჩამოსვლისთანავე გამოაცხადებს ადგილობრივ პრესაში, რა დღიდან დაიწყებს განყობილება თავის მოქმედებას.

გათლამი.

—გაზეთ „ნაშ კრაი"-ში გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება:

ამით ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ ამ რიცხვიდან დონის ფულები იხმარებიან ქალ. ბათომში და ბათომის ოლქში ამიერ-კავკასიის ბონების თანაბრად, ე. ი. აუცილებლად მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში და მცხოვრებლებში მანეთი-მანეთზე. ამ მოთხოვნილების აუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავე დაისჯება ჯარიმის სახით 3000 მანეთამდი, ან ციხეში სამი თვის ჩამწყვდევით.

ხელს აწერს: სამხედრო გუბერნატორის მაგიერი მაიორი გარრისი, კანცელარიის გამგე გინკული.

—აქვე გამოქვეყნებულია ასეთი განცხადება: ყოველივე გაუგებრობის ასაშორებლად პიროვნების ვინაობის გამორკვ. დროს, ყველა ბათომის მცხოვრებთ ევალებათ ქონდეს მუდამ პიროვნების დამმოწმებელი დოკუმენტები ამასთანავე ერთად ინგლისის სამხედრო პოლიციის მოხელეებსა და ქალაქის მილიციას ნებრძანები აქვს დააკლოს ყველა-ის პირი, ვინც არ აღმოჩნდება შეხედულებით ადგილობრივი მცხოვრები.

ინგლისის სამხედრო პოლიციის უფროსი კაპიტანი კუმმინსი.

ბათომის ქალაქის მილიციის უფროსი ს. კობიევი.

—24 სექტემბერს დახვრიტეს არსენ მარკელაძე, ელან ცინცაძე და ისაკ ვასაძე, 15 სექტემბერს მათ მოახდინეს გაძარცვა 20 სექტ. ისინი გაასამართლა ინგლისის სამხედრო საველე სასამართლომ, რომლის დადგენილებაც მოიყვანეს სისრულეში 24 სექტემბერს.

ქალაქში ცხოვრება სდუღს. ყოველ დღე მოდის გემები დიდძალი საქონლით. დამყარებულია პირდაპირი მიმოსვლა. მიუხედავად, იმისა, რომ ქალაქში დიდძალი საქონელია, ფასები ყველაფერზე მაღალია. ქალაქში წარმოუდგენლად გამრავლდა ქაღალდის სათამაშო სახლები, რომლებიც აშკარად მოქმედებენ. ყოველ ყავახანაში მოწყობილია ლოტო და სხვა სათამაშო, რაშიაც დიდ მოგებას იღებენ, რასაც გადასახადებს არავინ აწერს.

ინგლისელების მიერ მიღებულ მკაცრი ზომების წყალობით ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ქალაქში შესწყდა. 12 საათის შემდეგ ქალაქში სიარული აკრძალულია.

ბათუმის ნავთის წარმოების მეპატრონეებს მუშებმა წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი; 1) 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, 2) ხელფასის გადიდება 100%-ით და 3) ზედმეტი საათების სამუშაოზე ჯილდოს მიცემა. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ კანონიერად სცნო ეს მოთხოვნილებანი და დაამტკიცა.

დავით ტარიელის ძე პიპიანის ხსოვნას.

ძვირფასო და საყვარელო მეგობარო დათიკო! ჩვენს უწყების პატარა წრეს თქვენის დაკარგვით გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო და ღირსეული წევრი, შენს დაობლებულს ცოლშვილთან და დამწუხრებულ დედმამასთან ერთად ჩვენც გულწრფელად ვსტირით, რომ ულმობელმა ბედმა ასე უდროოთ გასწყვიტა შენის ძალღონით და ჭაბუკურის სიმამაცით სავსე სიცოცხლის ძაფი. შენი დაკარგვა ჩვენთვის საგრძნობელია. ჩემი დღევანდელი მდგომარეობა მავალებს, სინიდისის ქვეშ, საჯაროდ ვაღიაროორის სიტყვით მაინც, თუ როგორი პიროვნება იყავი შენ, რადგანაც, როგორც შენი თანამსახური ერის უწყებაში, თითქის დღიდან პირველის შენის სამსახურისა ახლოდ გიცნობდი და თვალიდგან არ დამიკარგავხარ.

შენ იყავი ჭეშმარიტის ნიჭით, სრულის უანგარობით და მჩქეფარე ნაყოფიერი საქმიანობით დაჯილდოებული მოხელე. შენი მოქმედება ჩვენს დარგში იყო სრული განსახიერება სიმარტივისა, გონიერი და მსწრაფელი მოსაზრებისა, კეთილსინდისიერი და ბეჯითი ყურადღებით მოპყრობისა ყველასთან, ვისაც კი შენთან დაურჩებოდა საქმე; მასთანვე იყავი მტერი ყოველნაირი უსამართლობისა.

შენ იყავი ერთგული, გულწრფელი გულშემატკივარი და პირუთვნელი ამხანაგი შენის თანამსახურებისა. პირში შენ არ ერიდებოდი მწარე კრიტიკასაც, პირს იქით კი იყავი ყველას მოსარჩლე და დამცველი და არ აძლევდი არავის ნებას, რომ მართალი დაეჩაგრათ.

მაგრამ, რაც უფრო სათაყვანებელი იყო შენში—ეს-შენი განუზომელი და ცხოველი სიყვარული შენი ტურფა სამშობლოსადმი. შენს გულში აღგზნებული იყო მთელი კოცონი, იქ მუდამ ლაპლაპებდა დაუქრობელი ალი მისდამი სპეტაკის სიყვარულისა. შენ დამშვიდებული ვერასოდეს ვერ ილაპარაკებდი შენს მომხიბლველს სამშობლოზე და ლომივით ეძგერებოდი ვინც გინდა ყოფილიყო, რომელიც სიტყვით უღირსად შეეხებოდა მის წმიდა სახელს. შენ მუდამ გწყუროდა მისი აქტიური სამსახური და, უკეთუ საჭირო გახდებოდა, სიხარულით შესწირავდი მას შენს სიცოცხლესაც. შენ არ ივიწყებდი შენს მოქალაქეებრივ მოვალეობასაც და მუყაითად ტრიალებდი საზოგადოებრივ საქმეებშიაც.

აი ამ ჩემს ორიოდე სიტყვებში დაახლოვებით გამოიხატება შენის წარჩინებულის სულის თვისებანი. აქ, შეიძლება, რაიმე კიდეც აკლდეს, მაგრამ, საერთოდ, არ[illegible] არის მომატებული ან [illegible]ლი.

[illegible] ბარო, და ნიშნად ღრმა [illegible] მისა შენის ხსოვნებისადმი, [illegible] მოვიდრიკეთ თავი შენი [illegible]ლი ცხედარის წინაშე.

მაშ მშვიდობით, ძვირფა[illegible] ნაგო და ჭეშმარიტო [illegible] განისვენე და საუკუნო იყ[illegible]ბა შენი.

დ. შამირანი[illegible]

კორესპონდენ[illegible]

ადმინისტრაცია სოფლ[illegible]

ქტემბერს ს. თერჯოლაში [illegible] წასვლა. იმისთანა თქვენს[illegible] მე გზაში ვნახე. მოულ[illegible] შეიქნა თოფების გრიალი [illegible]ლვრების ტკაცა-ტკუცუნი. [illegible]ვშინდით. ვეგონა ნამდვილ[illegible] როტ გამზრახველები თავს [illegible] და სიკვდილს გვიპირებენ თ[illegible] რამ ეს ასე არ მოხთა. უცე[illegible] გვესმა:—გაჩერდითო. ჩვენ[illegible]დით მოვიდენ ახლოს და [illegible] ჩვენ მილიციონერები ვართ [illegible] რამ რომელ ნაწილს ეკუთ[illegible] ის კი არ უთქვამსთ. მე [illegible] თუ საიდან იყვნენ ისინი. ამ[illegible]ზე ჩემი ცემა მოინდომეს. [illegible]ლმერთი შემეწია და ჩემის ამ[illegible] სიტყვებზე ისევ უკან გაბრ[illegible] მილიციონერები ძალიან მთ[illegible] იყვნენ თითქმის ფეხზედ ვე[illegible]ბოდნენ. როგორც იყო [illegible]დნენ და ისევ თოფის სრო[illegible] ვიდნენ.

გადავრჩით ხიფათს, მაგრ[illegible] ვეკითხები სად არის ის თავ[illegible]ბა რომელიც დიდი ხნით შ[illegible]დით? წინათ მართალია [illegible] ნიკოლოზი იყო არ შეი[illegible] ჯაშუშთან თავისუფლად ლ[illegible] მაგრამ ეხლა ხომ ნიკოლოზ[illegible] არის? და თავისუფალ საქარ[illegible] კი თავისუფლად უნდა ვ[illegible]დეთ. ასე არ არის. თერჯოლ[illegible] წავედი ს. ზორვეთში. როდ[illegible] ვახწიე იმ სოფლის კიდემდე[illegible] არ იყოს მესხვაფერა. სურათ[illegible]ლის ველს წარმოადგენდ[illegible] იყო, რომ ვერ წარმომედგ[illegible]ლში ვიყავი თუ ფრონტზე [illegible] საც გამოვიკვლიე ამ სროლ[illegible]ზი ისევ მილიციონერები [illegible] ისინი სცემდნენ ხალხს თავ[illegible]ლამის ოთხი საათიდან [illegible] ხალხი ზორვეთის ეკლესიის [illegible]ნში. ხალხი ძალიან ზრდილ[illegible] იქცეოდა, მაგრამ აგერ მოვი[illegible]ლიციონერები, შემოცვიდნ[illegible]ნო ველზედ ლევორველებ[illegible]ლით.

ასეთ გარემოებას მთავრობ[illegible] რადღება უნდა მიაქციოს [illegible]დი მილიციონერები თანამდ[illegible] გადააყენოს.

ტანჯული „თუზ[illegible]

რედაქტორი - სარედაქ[illegible]
კო[illegible]

ტამბა ნ. ფერაძისა და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.